



გამოცემის  
101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გაეროს ეროვნული  
სააგენტოს აჭარის  
ჰიეროკომუნიკაციების  
ოპერატორის ხელისუფლება

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 3-8, შიდაპირობის რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 759 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია თოვა.

ბამოლის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№4 (24.884)

სამშაბათი, 18 - 21 იანვარი, 2022 წ.

50 თეთრი

### პირველი ნიუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულებს - გუბერნატორებს შეხვდა. მთავრობის მეთაურმა რეგიონებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილა და ხაზი გაუსვა შესაბამისი სამუშაოების მოკლე ვადებში განხორციელების აუცილებლობას. პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტული პროექტების განხორციელებას. განიხილეს არსებული პროექტები, მათ შორის პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საქართველოში ლიეტუვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ანდრიუს კალინდრას შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს თანამშრომლობის გაღრმავებაზე, სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონებში არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და ევროკავშირში გაწევრიანების 2024 წლის განაცხადისთვის მომზადების პროცესზე. პაპუაშვილი ასევე შეხვდა საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ივან დოლოგოს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და უკრაინის შორის არსებულ მჭიდრო პარტნიორობას, უნიკალურ მეგობრობასა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულ ნდობით საერთო საგარეო-პოლიტიკურ მიზნებს.

ქვეყნის მასშტაბით საავტომობილო გზებზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. ყველა მიმართულებით ადგილზე მობილიზებულია თვითმწმენდი ტექნიკა, გზებზე იყრება ტექნიკური მარილი, რათა ავტოტრანსპორტის მოძრაობა უმოკლეს პერიოდში აღდგეს. გადაადგილების სპეციალური რეჟიმები მოქმედებს რაც საავტომობილო გზებზე. საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოუწოდებს მოსახლეობას, იმობილურ ზამთრის პერიოდისთვის შესაბამისი საბურთავების, გამართული ავტოტრანსპორტით და დაემორჩილოს საავტომობილო გზებზე დაწესებულ რეჟიმებს.

საერთაშორისო მოგზაურებიდან საქართველომ 2021 წელს 1.244.941.717 აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღდგენის დინამიკა 2019 წელთან შედარებით ყოველწლიურად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, - ინფორმაციას ტურიზმის დეპარტამენტი ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, 2021 წელს აღდგენილია შემოსავლების 38%. რაც შეეხება დეკემბრის თვეს, აღდგენის მაჩვენებელია 58% შეადგინა, 2020 წელთან შედარებით კი შემოსავლების ზრდა 130 %-ს აღემატება.



**გიორგი მჭედია**  
**წმინდო სლექში**  
**დღესასწაულებს!**

## „თბილისის და გონიოს ფინანსური სანტრაზის შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ მაღალი საერთაშორისო რეპუტაციისა და გამოცდილების მქონე კომპანიები“

გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ გაიხსნა თურქეთის ბაზარი, საიდანაც საქართველოში მაღალი ხარისხის, თუმცა დაბალი ფასის მქონე მედიკამენტები უნდა შემოვიდეს. პრემიერის თქმით, ეს გადაწყვეტილება ძალიან სწრაფად გააიფხვბს მედიკამენტებს საქართველოში.

„ჩვენ დღეს მოვალეობა გვაქვს მთავრობის განკარგულებას, გაიხსნა თურქეთის ბაზარი, საიდანაც შემოვა მაღალი ხარისხის GMP სტანდარტის შესაბამისი მედიკამენტები. მოგვხვდებით, საგრძობად დიდია სხვაობა ფასებს შორის, ყველაზე მოთხოვნადი წამლები ჩვენთან თუ ღირს, პირობითად, 10 ლარი, თურქეთში ღირს 1-2 ლარი. არავითარი არგუმენტი იმისა, რატომ არ უნდა ყოფილიყო გახსნილი თურქეთის ბაზარი, არ არსებობს, ვერ მოვისმინე. იმედი მაქვს, რომ იმპორტიორები შემოიტანენ მაღალი ხარისხის წამლებს თურქეთიდან, რაც მნიშვნელოვნად, ძალიან სწრაფად გააიფხვბს მედიკამენტების ფასებს საქართველოში“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

განდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის თქმით, თურქეთის ბაზრის გახსნის შედეგად, მონახლეობას 200-მდე დასახელების მედიკამენტზე გაუიფხვბა ხარჯები. „ჩვენი გათვლებით და მოლოდინებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს თურქეთიდან მაღალხარისხიან კონკურენტული ფასებით წამლის და მედიკამენტების იმპორტს საქართველოში, რაც ჩვენს მოსახლეობას 200-მდე მედიკამენტზე გაუიფხვბს ხარჯს. აქედან გამომდინარე, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად არის ჩართული თურქეთის და ყველა სხვა იმპორტიორი ქვეყნიდან წამლის ხარისხის და მასთან დაკავშირებული სერტიფიკატების თუ დოკუმენტაციის გადამოწმების და კონტროლის კუთხით. ჩვენ ვართ სრულად პასუხისმგებელი იმაზე, რომ საქართველოში გაიფხვბა მაღალი

ხარისხის მედიკამენტები და ფასები იქნება კონკურენტული“, - აღნიშნა მთავრობის სხდომაზე ზურაბ აზარაშვილმა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 150 ათასი და ნაკლები ქულის მქონე ადამიანებისთვის დენის ტარიფის სუბსიდირების პროგრამა იანვრიდან ამოქმედდება და მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება. „ჩვენი გადაწყვეტილებით, მოსახლეობის დიდ ნაწილს, დაახლოებით 1 მილიონ ადამიანს, დავსუბსიდირებთ ელექტროენერჯის ტარიფის ნაზარდს. ეს შეეხება მიზნობრივ ჯგუფებს, 150 ათას და ნაკლები ქულის მქონე მოსახლეობას. მოგხსენებთ, რომ აღნიშნული პროგრამა გვექონდა პანდემიის დაწყების დღიდან და ის ორი წელი გრძელდებოდა, იანვარში შეწყდა ეს სუბსიდირება. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, ეს პროგრამა გავაგრძელოთ“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ქვეყანაში ფინანსური ცენტრების შექმნის იდეაზე გაამახვილა ყურადღება. „მოგხსენებთ, რამდენიმე თვის წინ გავაუქმე ინიციატივა, რომელიც ეხებოდა ქვეყანაში ფინანსური ცენტრების შექმნის იდეას. ამის თაობაზე, ჩვენ გავაფორმეთ კონტრაქტი მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან კომპანიასთან, ფინანსურ ერუფთან - Rothschild & Co-სთან. მინდა, ეკონომიკის მინისტრს დავავალო, გაუწიოს კოორდინაცია ამ პროცესს, მომზადდეს და წარედ-



გონოს საქართველოს მთავრობას საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. საკითხი ეხება შედგენილ და ინიციატივას - ჩვენი სურვილია, შევქმნათ საქართველოში სპეციალური საერთაშორისო ფინანსური ზონები. ჩვენი ვარაუდით, მათი შექმნა და განვითარება ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ფინანსური, ტექნოლოგიური სიხალეების გაზიარებას და ქვეყნის რეგიონულ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებას. ეს უნდა იყოს ჩვენი საერთო საბოლოო მიზანი. გვაქვს ორი ფინანსური ცენტრის შექმნის იდეა - ერთი, რომ შეიქმნას თბილისის ფინანსური ცენტრი, რომელიც თბილისის ზღვა-სთან, სავარაუდოდ 110 ჰექტარ მიწის ფართობზე განთავსდება ჩვენი სურვილისამებრ. გვინდა,

ნ. შ-2 33.

## გამოიწვიეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწვიეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

გამოიწვიეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.















